რეაბილიტაცია

MED-EL

# გაკვეთილების კრებული

## 12 მაიმუნი



# გაეცანით გაკვეთილების გეგმას

## გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

## 1. გააკეთე მაიმუნი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

## 2. მაიმუნის დამთხვევა და მაიმუნის ბინგო

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

## 3. 5 პატარა მაიმუნი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

## 4. სად იმალება მაიმუნი? და რას აკეთებენ ის ცხოველები ჩვენს ავეჯზე?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# გაეცანით გაკვეთილების გეგმას

აჩვენებს მოსმენის მიზნებს

აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს

აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

## როგორ ავირჩიოთ დონე

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი დონე | ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია. | ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება. | შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის. |
| მეორე დონე | ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია. | ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას. | |
| მესამე დონე | ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები. | ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს. | |

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა ( ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2
= საქირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

## ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED-EL

თარიღი: ....................................

სახელი: .................................................................................... ასაკი: .................. სმენის პერიოდი: .......................

| აქტივობა | მიზნები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექვსი ბგერა: | მარცხენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |
| | მარჯვენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |

| | (სმენა) | (მეტყველება) | (აზროვნება) |
|---|---|---|---|
| ააშენე სახლი<br>რესურსები<br>• ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1 | • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:<br>· სახლის ნაწილები<br>• იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან | • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას<br>• იყენებს ზმნებს: დაქრა/დაწებება/დაკეცვა | • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს |
| ვინ არის სახლში?<br>რესურსები<br>• ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2 | • ითვისებს ერთ საგანს:<br>· ადამიანი<br>· ადგილი<br>· ზმნა | • იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას;<br>· ადამიანი<br>· ადგილი<br>· ზმნა | • ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა |
| სად უნდა იყოს?<br>რესურსები<br>• ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3 | • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:<br>· საგანი<br>· ადგილი | • კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში | • ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის |
| ჩემი სახლი<br>რესურსები<br>• ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4 | • ითვისებს ზმნებს: დაქრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა<br>• ითვისებს წიგნს | • ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან | • უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით |

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე

აქტივობის დასახელება

რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ

ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში

მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი

მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.



აქტივობა

# 1. ააშენე სახლი

**მომზადება**

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.

1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.)
2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა.
3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ.
4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს.
5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს.
6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს.
7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს.
8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს.
9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი.
10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.

**რესურსები**

- მუყაოს ყუთი
- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა1
- წებო და მაკრატელი
- საკანცელარიო დანა

**მოსალოდნელი შედეგები**

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
- იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.

**ძირითადი სტრატეგიები**

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით.

აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი … წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი… უკან.

**მოსალოდნელი შედეგები**

- იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა.
- აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.

**ძირითადი სტრატეგიები**

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო.

გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?

**მოსალოდნელი შედეგები**

- ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.

**ძირითადი სტრატეგია**

საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

# მაიმუნები: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED-EL

თარიღი: ..............................................................

სახელი: ........................................................................ ასაკი: ....................... სმენის პერიოდი: .....................

| აქტივობა | მიზნები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექვსი ბგერა: | მარცხენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |
| | მარჯვენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |

| | | | |
|---|---|---|---|
| გააკეთე მაიმუნი<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1 | • ერთი საგნის მოსმენა:<br>· ცხოველის სხეულის ნაწილები<br>· ძირითადი ზმნები | • ბაძავს ცხოველს ან აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას<br>• იყენებს ძირითად ზმნებს | • ერთვება ჯგუფურ აქტივობაში<br>• რეაგირებს ერთობლივი ყურადღების მოთხოვნაზე |
| მაიმუნის დამთხვევა<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 ა2<br>• მაიმუნები დ1 ა2 შთაბეჭდილებების წიგნი | • ახდენს ზმნის იდენტიფიცირებას მოკლე წინადადების ბოლოს | • იმეორებს ზმნას | • მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში<br>• შეუძლია გააჯავროს რაიმე ემოცია |
| 5 პატარა მაიმუნი<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3 თოჯინები | • რეაგირებს სიმღერის რიტმსა და მელოდიაზე | • უერთდება სიმღერას სტრიქონში ბოლო სიტყვის წარმოთქმნით | • იგებს სხვა ადამიანების ემოციებს და ანუგეშებს |
| სად იმალება მაიმუნი?<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 ა4 | • ერთი საგნის მოსმენა:<br>· ავეჯი<br>• იწყებს თანდებულების გაგებას: ქვეშ | • იყენებს ავეჯის ლექსიკას | • იწყებს ინფორმაციის დამალვას ეფექტისთვის |

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# მაიმუნები: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

თარიღი: ..............................................................................

სახელი: ............................................................................................ ასაკი: ......................... სმენის პერიოდი: ......................

| აქტივობა | მიზნები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექვსი ბგერა: | მარცხენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |
| | მარჯვენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |

| | | | |
|---|---|---|---|
| გააკეთე მაიმუნი<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1 | • ერთი-ორი საგნის მოსმენა<br>· მაიმუნი + სხეულის ნაწილი<br>· ზედსართავი სახელი + სხეულის ნაწილი | • სიტყვების კომბინაცია<br>· მაიმუნი + სხეულის ნაწილი<br>· ზედსართავი სახელი + სხეულის ნაწილი<br>• ზმნა: აწმყო დრო | • ახდენს სხვა ადამიანების ფიზიკური მდგომარეობის პროგნოზირებას კონტექსტიდან |
| მაიმუნი ბიჭი<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ3 ა2<br>• მაიმუნები დ2 დ3 ა2 ბანანები | • ერთი-ორი საგნის მოსმენა<br>· ზმნა, რომლის შემდეგაც მოდის საგანი | • სიტყვების კომბინაცია<br>· მაიმუნი + ზმნა<br>· ზმნა + საგანი<br>· მაიმუნი + ზმნა + საგანი<br>• დამხმარე ზმნა: არის | • საუბრობს რეალურზე და არარეალურზე |
| 5 პატარა მაიმუნი<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3 თოჯინები | • ცნობს მელოდიას<br>• ასრულებს სიმღერაში აღწერილ მოქმედებებს | • იმეორებს 2-3 სიტყვას ყოველი სტრიქონიდან<br>• იყენებს თანდებულებს: -ზე | • საუბრობს სხვა ადამიანების ბედნიერ და სევდიან გრძნობებზე |
| სად იმალება მაიმუნი?<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 ა4 | • უსმენს თანდებულს + არსებით სახელს: ქვეშ/უკან + ავეჯი<br>• იწყებს კატეგორიების სახელების გაგებას; ავეჯი | • იყენებს ავეჯის ლექსიკას<br>• იყენებს თანდებულებს: ქვეშ | • იწყებს ინფორმაციის დამალვას ეფექტისთვის |

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# მაიმუნები: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

თარიღი: ....................

სახელი: .................... ასაკი: .................... სმენის პერიოდი: ....................

| აქტივობა | მიზნები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექვსი ბგერა: | მარცხენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |
| | მარჯვენა | ა | უ | ი | შ | ს | მ |

| | (ყური) | (ტუჩები) | (ტვინი) |
|---|---|---|---|
| **გააკეთე მაიმუნი**<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1<br>• მაიმუნები დ3 ა1 რიცხვები | • ორი საგნის მოსმენა: სხეულის ნაწილი + რიგობითი რიცხვითი სახელები<br>• ცნებები<br>· მანამდე/მერე<br>· პირველი/ბოლო/შემდეგი<br>· ორივე/ერთ-ერთი/ან | • კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი<br>• რიგობითი რიცხვითი სახელები<br>• მოდალური ზმნები<br>• მრავლობითი რიცხვი | • ახდენს პროგნოზირებას და საუბრობს ემოციურ მდგომარეობებზე. |
| **მაიმუნი ბიჭგო**<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ3 ა2<br>• მაიმუნები დ2 დ3 ა2 ბანანები | • იგებს: მხოლობითი და მრავლობითი რიცხვითი სახელები + ზმნის ფრაზა<br>• იცავს და განმარტავს თამაშის წესებს | • დამხმარე ზმნები: არის/არიან<br>• მრავლობითი რიცხვი<br>• საგნის და ზმნის შეთანხმება | • საუბრობს დამახსოვრებულ საგნებზე |
| **5 პატარა მაიმუნი**<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3<br>• მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა3 თოჯინები<br>• მაიმუნები დ3 ა3 თანმიმდევრობა | • შეუძლია სიმღერის აჰყოლა და ასრულებს სიმღერაში აღწერილ მოქმედებებს<br>• ავითარებს რიტმის აღქმას<br>• მიჰყვება: იმეორებს 4-5 სიტყვას | • ნაცვალსახელები: ის/მისი<br>• ზმნის დრო: აწმყო და წარსული<br>• უარყოფითი: აღარ | • საუბრობს სხვა ადამიანების ბედნიერ, სევდიან და გაბრაზებულ გრძნობებზე და ამ გრძნობების გამომწვევ მიზეზებზე |
| **რას აკეთებენ ის ცხოველები ჩვენს ავეჯზე?**<br><br>**რესურსები**<br>• მაიმუნები დ3 ა4<br>• მაიმუნები დ3 ა4 ცხოველები | • 5 სიტყვის მოსმენა<br>· რიცხვი<br>· ცხოველი<br>· ზმნა<br>· თანდებული<br>· ავეჯი | • კონკრეტული კატეგორიის სიტყვების მარაგი; ავეჯი<br>• კონკრეტული ზმნები<br>• თანდებული<br>• მრავლობითი რიცხვი | • შეუძლია გამოიცნოს რას გრძნობენ სხვა ადამიანები სხვადასხვა სიტუაციებიდან გამომდინარე |

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 1. გააკეთე მაიმუნი

## მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ უნდა გააკეთოთ მაიმუნი.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით მაიმუნის სხეულის ნაწილები.
2. ამოჭრის დროს ისაუბრეთ თითოეულ ნაწილზე.
3. გადაწყვიტეთ, როგორ შეაერთებთ ნაწილებს ერთმანეთთან; წებოვანი ლენტით, წებოთი თუ საკინძი ქიკარტებით
4. თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ მაიმუნის სხეულის ნაწილები.
5. ითამაშეთ მაიმუნთან რამდენიმე მოქმედებებიანი როლური თამაში

## რესურსები

- მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1
- მაკრატელი, წებოვანი ლენტი, საკინძი ქიკარტი, წებო, ფანქრები

### მოსალოდნელი შედეგები

- ერთი საგნის მოსმენა:
  - ცხოველის სხეულის ნაწილებით; მაგალითად: კუდი, თავი, ტანი.
  - ძირითადი ზმნები; მაგალითად: ამოჭრა, მიწოლა, დაწებება, მიქერა, ხტუნვა, ჭამა.

### ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბავშვებმა ბევრჯერ უნდა მოისმინონ სიტყვები, რომ დაიმახსოვრონ. ისაუბრეთ მაიმუნის სხეულის ნაწილებზე მათ ამოჭრამდე, ამოჭრის პროცესში და ბოლოს, როდესაც შეხედავთ და გადაწყვეტთ, თუ როგორ უნდა შეაერთოდ ისინი ერთმანეთთან.

აკუსტიკური აქცენტირება: ზმნა ხშირად გვხვდება წინადადების შუაში, ამიტომ პირველ დონეზე მყოფ ბავშვს უჭირს ხოლმე მისი მოსმენა და გაგება. შეეცადეთ შეცვალოთ სიტყვების თანმიმდევრობა ისე, რომ ძირითადი ზმნა ბოლოში გადავიდეს. გინდა ამოჭრა?, მიდი, ამოჭერი. ნახე როგორ ვჭრი.

### მოსალოდნელი შედეგები

- ბაძავს ცხოველს ან აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კუდი, თავი, ტანი.
- იყენებს ძირითად ზმნებს; მაგალითად: ამოჭრა, მიწოლა, დაწებება, მიქერა, ხტუნვა, ჭამა.

### ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: ბავშვისთვის არჩევანის, ანუ ვარიანტების მიცემა უზრუნველჰყოფს გამზადებულ სალაპარაკო ენის მოდელებს, რომლის კოპირებაც მარტივად შეუძლია, რის მეშვეობითაც პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის უფრო ადვილი იქნება სიტყვის წარმოთქმა. რისი ამოჭრა გინდა, ტანის თუ კუდის?

საბოტაჟი: საბოტაჟი ნიშნავს მცირე პრობლემის ხელოვნურად შექმნას, ამიტომ მის მოსაგვარებლად ბავშვმა სიტყვები უნდა გამოიყენოს. სცადეთ "დაეხმაროთ" ბავშვს მაკრატლის საშუალებით და აწყობის დროს არ დადოს მაკრატელი. დაიცადე, ჩვენ კიდევ უნდა გავჭრათ. დაელოდეთ და გაიმეორეთ, სანამ ბავშვი არ შეეცდება წარმოთქვას სიტყვა დავჭრათ, შემდეგ დაადებინეთ მაკრატელი.

### მოსალოდნელი შედეგები

- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში.
- რეაგირებს ერთობლივი ყურადღების მოთხოვნაზე.

### ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: ერთობლივი ყურადღების შენარჩუნება (როდესაც ყველა ერთსა და იმავეზე საუბრობს და უყურებს) ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის უნარის განვითარებისათვის. როდესაც მაიმუნის დამზადებას დაასრულებთ, ითამაშეთ მასთან, ვითომ ის რაღაც მოქმედებას აკეთებს. დაამატეთ სალაპარაკო ენა, რომელიც მიიპყრობს და შეინარჩუნებს ბავშვის ყურადღებას. იფ! შეხედე მაიმუნი როგორ ჭამს. მმმმ, როგორ უყვარს მას ბანანი. შეხედე როგორ ჭამს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 1. გააკეთე მაიმუნი

## მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ უნდა გააკეთოთ მაიმუნი.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით მაიმუნის სხეულის ნაწილები.
2. ამოჭრის დროს ისაუბრეთ თითოეულ ნაწილზე.
3. გადაწყვიტეთ, როგორ შეაერთებთ ნაწილებს ერთმანეთთან; წებოვანი ლენტით თუ საკინძი ქიკარტებით.
4. თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ მაიმუნის სხეულის ნაწილები.
5. ითამაშეთ მაიმუნთან რამდენიმე მოქმედებებიანი როლური თამაში

## რესურსები

- მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1
- მაკრატელი, წებოვანი ლენტი, საკინძი ქიკარტი, ფანქრები

### მოსალოდნელი შედეგები

- ერთი-ორი საგნის მოსმენა.
  - მაიმუნი + სხეულის ნაწილი; მაგალითად: მაიმუნის კუდი.
  - ზედსართავი სახელი + სხეულის ნაწილი; მაგალითად: გრძელი კუდი, მოკლე ფეხები.

### ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება, როდესაც ბავშვს მოუწოდებთ ყურადღება მიაქციოს ერთზე მეტ ინფორმაციას. იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს წინადადების შუაში არსებულ სიტყვებზე ყურადღების მიქცევა, გააკეთეთ მათზე აქცენტი. ეს მაიმუნის ფეხი უნდა იყოს.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სიტყვების მარაგის გაფართოებისთვის, სხეულის თითოეულ ნაწილს დაამატეთ ზედსართავი სახელი. თითოეული ნაწილისთვის ეცადეთ მოიფიქროთ სხვადასხვა ზედსართავი სახელი. წაახალისეთ მშობლები, მოიფიქრონ სიტყვების აღწერა, რათა შეძლონ ახალი სიტყვების მოდელირება. ჰმ, რა შეგვიძლია ვთქვათ მაიმუნის ხელებზე?

### მოსალოდნელი შედეგები

- სიტყვების კომბინაციები; მაგალითად: მაიმუნის ხელი/მრგვალი სახე.
- ზმნის დაბოლოება -ის; მაგალითად: დახტის.

### ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: ბავშვისთვის არჩევანის, ანუ ვარიანტების მიცემა უზრუნველჰყოფს გამზადებულ სალაპარაკო ენის მოდელებს, რომლის კოპირებაც მარტივად შეუძლია, რის მეშვეობითაც ბავშვისთვის უფრო ადვილი იქნება სიტყვების კომბინაციის წარმოთქმა. რისი ამოჭრა გინდა, მაიმუნის ტანის თუ მაიმუნის კუდის?

საბოტაჟი: საბოტაჟი ნიშნავს მცირე პრობლემის ხელოვნურად შექმნას, ამიტომ მის მოსაგვარებლად ბავშვმა სიტყვები უნდა გამოიყენოს. სცადეთ "დაეხმაროთ" ბავშვს მაკრატლის საშუალებით და აწყობის დროს არ დადოს მაკრატელი. დაიცადე, ჩვენ უნდა ამოვჭრათ კუდი. დაელოდეთ და გაიმეორეთ, სანამ ბავშვი არ შეეცდება წარმოთქვას სიტყვათა კომბინაცია ამოვჭრათ კუდი, შემდეგ დაადებინეთ მაკრატელი.

### მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სხვა ადამიანების ფიზიკური მდგომარეობის პროგნოზირებას კონტექსტიდან.

### ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მაიმუნთან რამდენიმე მოქმედებებიანი როლური თამაშის დროს, ბავშვის ყურადღების მისაპყრობად და შენარჩუნებისთვის, გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები. სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები დაამატებენ მაღალსეგმენტიან ინფორმაციას, რამაც შეიძლება მოგცეთ დამატებითი ინფორმაცია გრძნობების შესახებ. ვა! ნახე, როგორ დახდის და დახდის ეს მაიმუნი. უჰ!. ის ალბათ დაიღალა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 1. გააკეთე მაიმუნი

## მომზადება

ამობეჭდეთ დ1 დ2 დ3 ა1 რესურსი პატარა ბარათებზე. დაბეჭდეთ დ3 ა1 რიცხვები ქაღალდზე. დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ რიცხვები პატარა გამოვიდეს.

თქვენ უნდა გააკეთოთ რიცხვითი ღერძი და მაიმუნი.

1. ბავშვთან ერთად რიცხვები კვადრატებად ამოჭერით და მარცხნიდან მარჯვნივ დაალაგეთ.
2. ამოჭერით მაიმუნის სხეულის ნაწილები.
3. გადაწყვიტეთ, რა თანმიმდევრობით დაალაგებთ მაიმუნის ნაწილებს და მოათავსეთ ეს ნაწილები რიცხვითი ღერძის ზედა ნაწილში.
4. გადაწყვიტეთ, როგორ შეაერთებთ ნაწილებს ერთმანეთთან; წებოვანი ლენტით, წებოთი თუ საკინძი ქიკარტებით.
5. თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ მაიმუნის სხეულის ნაწილები.
6. ითამაშეთ მაიმუნთან რამდენიმე მოქმედებებიანი როლური თამაში

## რესურსები

- მაიმუნები დ1 დ2 დ3 ა1
- მაიმუნები დ3 ა1 რიცხვები
- მაკრატელი, წებოვანი ლენტი, წებო, საკინძი ქიკარტი, ფანქრები

### მოსალოდნელი შედეგები

- 2 ელემენტის მოსმენა: სხეულის ნაწილი +რიგობითი რიცხვითი; მაგალითად: პირველია თავი. მეორეა მუცელი.
- ცნებები; მაგალითად: მანამდე/მერე, პირველი/ბოლო/შემდეგი, ორივე/ერთ-ერთი/ან.

### ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: რიცხვითი ღერძის გამოყენება ეხმარება ბავშვს მარცხნიდან მარჯვნივ ორიენტაციის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებაში და ასევე ხელს უწყობს სიტყვების მნიშვნელობის განმტკიცებას, რომელიც დაკავშირებულია თანმიმდევრობასთან, ანუ მათი თანმიმდევრობით დაწყვილება სხვა მნიშვნელობასთან. აი მაიმუნის კუდი. ის არის რიცხვ 3-ზე, ამიტომ ჩვენ მას რიგით მესამეს გავაკეთებთ. კუდის წინ ჩვენ უნდა გავაკეთოთ თავი და მუცელი. ისინი 1 და 2 რიცხვებზე არიან. ხელები კუდის შემდეგაა. ბოლო არის მაიმუნის ბანანი. ის არის რიცხვითი ღერძის ბოლოს.

### მოსალოდნელი შედეგები

- კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი; მაგალითად: მაიმუნის.
- რიგობითი რიცხვითი სახელები; მაგალითად: პირველი, მეორე, მესამე.
- მოდალური ზმნები; მაგალითად: შეუძლია ახტომა.
- მრავლობითი რიცხვი; მაგალითად: ხელები, ფეხები, თვალები.

### ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: წინადადების შუაში არსებული კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი არის მოკლე და რბილი აკუსტიკური სიგნალი, რომლის გაგებაც ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს. გამოყავით ეს გრამატიკული ელემენტი აკუსტიკური აქცენტირებით, ანუ ოდნავ ხმამაღლა და უფრო გრძლად წარმოთქვით იგი ვარიანტებიან შეკითხვაში, რათა ბავშვმა ორჯერ მოისმინოს ის სალაპარაკო ენის მოდელებში. შემდეგ რისი ამოჭრა გინდა, მაიმუნის ... კუდის თუ მაიმუნის ხელების?

სმენითი მეხსიერების შექმნა: მაიმუნის გაკეთების დასრულების შემდეგ, რიგრიგობით შეასრულეთ გარკვეული მოქმედებები მოდალური ზმნის გამოყენებით. შეეცადეთ გამოიყენოთ სამი ზმნა. სანამ გარკვეულ მოქმედებას შეასრულებთ, წაახალისეთ ბავშვი რომ გაიმეოროს მოსმენილი. მაიმუნს შეუძლია ხტუნვა, გორაობა და ცეკვა.

### მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს პროგნოზირებას და საუბრობს ემოციურ მდგომარეობებზე.

### ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მაიმუნთან რამდენიმე მოქმედებებიანი როლური თამაშის დროს, ბავშვის ყურადღების მისაპყრობად და შენარჩუნებისთვის, გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები. სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები დაამატებენ მაღალსეგმენტიან ინფორმაციას, რამაც შეიძლება მოგცეთ დამატებითი ინფორმაცია გრძნობების შესახებ. ვა! ნახე, როგორ დახდის და დახდის ეს მაიმუნი. უჰ!. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობს ახლა მაიმუნი?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# 1. გააკეთე მაიმუნი





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# 1. გააკეთე მაიმუნი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

## 1. გააკეთე მაიმუნი

# პირველი

# 1

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. გააკეთე მაიმუნი

MED-EL

# მეორე

# 2

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

1. გააკეთე მაიმუნი

# მესამე

# 3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

# 1. გააკეთე მაიმუნი

## ოთხი

# 4

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

# 1. გააკეთე მაიმუნი

## მეხუთე

# 5

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

## 1. გააკეთე მაიმუნი

# ექვსი

# 6

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

MED-EL

## 1. გააკეთე მაიმუნი

# მეშვიდე

# 7

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL

# 1. გააკეთე მაიმუნი

მერვე

8

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL

## 1. გააკეთე მაიმუნი

# მეცხრე

# 9

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL

## 1. გააკეთე მაიმუნი

# მეათე

# 10

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

# 1. გააკეთე მაიმუნი

# თერთმეტი

# 11

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 2. მაიმუნის დამთხვევა

## მომზადება

ამობეჭდეთ - მაიმუნები დ1 ა2 შთაბეჭდილებების წიგნი - ქაღალდზე.
ჩასვით 2 გვერდი ერთ გვერდზე, რომ ბარათები პატარა გამოვიდეს.
დაასტეპლერეთ და გააკეთეთ წიგნი.

## რესურსები

- მაიმუნები დ1 ა2
- მაიმუნები დ1 ა2 შთაბეჭდილებების წიგნი
- მაკრატელი/სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა დაათვალიეროთ მაიმუნის შთაბეჭდილებების წიგნი და თითოეული გვერდისთვის იპოვოთ შესატყვისი ბარათი.

1. სანამ ჭრით ბარათებს, ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებენ მაიმუნები თითოეულ სურათზე.
2. განათავსეთ ბარათები მაგიდაზე.
3. დახარეთ შთაბეჭდილებების წიგნი ისე, რომ ბავშვმა ვერ დაინახოს სურათი და ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი.
4. ნახეთ, იპოვის თუ არა ბავშვი იგივე მაიმუნს გამოსახულებიან ბარათებზე.
5. თუ ვერ იპოვის, მიეცით ბავშვს საშუალება, რომ სწრაფად შეხედოს წიგნს, კიდევ ერთხელ გაუმეორეთ რას აკეთებს მაიმუნი და სთხოვეთ კვლავ მოძებნოს.
6. რიგრიგობით გადაფურცლეთ წიგნი და ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი.
7. ალტერნატიულად ; გააკეთეთ ბარათების დასტა და განათავსეთ ისინი გამოსახულებით ქვემოთ.
8. აიღეთ ბარათი და დამალეთ, სანამ ლაპარაკობ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი.
9. სთხოვეთ ბავშვს წიგნის გადაფურცვლა, რომ სცადოს სწორი სურათის პოვნა.

### მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ზმნის იდენტიფიცირებას მოკლე წინადადების ბოლოს; მაგალითად: მაიმუნი ჭამს.

### ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე და სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: განათავსეთ შთაბეჭდილებების წიგნი ისე, რომ მოსაუბრემ შეძლოს სურათის დანახვა, ხოლო მსმენელმა - არა. ეს საშუალებას გაძლევთ მიაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია თავიდან მხოლოდ მოსმენის გზით. იმისათვის, რომ დაეხმაროთ დამწყებ მსმენელს შესატყვისი სურათის პოვნაში, შეგიძლიათ დაამატოთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, რომლებიცზმნაზე ყურადღებას ამახვილებენ.ჭრის ჭრის ჭრის. მაიმუნი ჭრის ...ჭრის ჭრის ჭრის

სმენითი სენდვიჩი: თუ ბავშვს უჭირს შესატყვისი სურათის პოვნა მარტო მოსმენის საშუალებით, შესთავაზეთ სწრაფად გადახედოს წიგნს და შემდეგ კვლავ გაიმეორეთ წინადადება, სანამ ბავშვი მას არ იპოვის.

### მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ზმნას; მაგალითად: ჯდომა/ზის, ჭამა/ჭამს.

### ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: გაამახვილებინეთ ბავშვის ყურადღება ძირითად ზმნაზე (მაგალითად, ჯდომა). წარმოთქვით ამ სიტყვის ერთი მარცვალი შედარებით უფრო ხმამაღლა და ნელა, ვიდრე მეორე მარცვალი. თუ ბავშვს შეუძლია ძირითადი ზმნის გამეორება, გამოყავით მთელი სიტყვა (მაგ. ზის). როდესაც დადგება ბავშვის ჯერი, მიეცით სურათზე შეხედვის საშუალება და მიაწოდეთ მას ვარიანტებიანი სალაპარაკო ენის მოდელი, რათა შეძლოს მარტივად დაკოპირება. დარწმუნებული არ ვარ, შენ გყავს მაიმუნი, რომელიც კითხულობს თუ მაიმუნი, რომელიცზის?

### მოსალოდნელი შედეგები

- მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში.
- შეუძლია გააჯავროს რაიმე ემოცია.

### ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ამ რესურსების გამოყენების კიდევ ერთი გზაა შარადების თამაში. "მსახიობი" იღებს ბარათს და ასრულებს მოქმედებას, ხოლო დანარჩენმა მოთამაშეებმა უნდა გამოიცნონ რას აკეთებს მსახიობი. ბავშვის გონების თეორიის განვითარებისთვის, დაამატეთ თამაშში ემოციის გამომხატველი სიტყვები. ოჰ, დაღლილი ჩანხარ. მე მგონი ძილს აპირებ. კი! გძინავს?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 2. მაიმუნი ბინგო

## მომზადება

თითოეული მოთამაშისთვის ამობეჭდეთ ბანანები, მთავარი სათამაშო გვერდი (გვერდი 5) და ერთ-ერთი დ2 ა2 მაიმუნი ბინგოს გვერდი პატარა ბარათზე. ამოჭერით ბანანის ბარათები.

## რესურსები

- მაიმუნები დ3 ა2
- მაიმუნები დ2 დ3 ა2 ბანანები

თქვენ ერთად უნდა ითამაშოთ ბინგოს თამაში.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით მთავარი სათამაშო გვერდი ბარათებად. ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი თითოეულ სურათზე.
2. მოაგროვეთ სათამაშო ბარათები ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
3. მიეცით ყველა მოთამაშეს ბინგოს გვერდი (4 გვერდი განსხვავებულია).
4. დაარიგეთ ბანანის ბარათები.
5. აიღეთ ბარათი შეკვრიდან და ჩვენების გარეშე ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი.
6. ვისაც ეს მაიმუნი ჰყავს თავის ბინგოს გვერდზე, ის ადებს მის სურათზე ბანანის ბარათს.
7. რიგრიგობით აიღეთ სათამაშო ბარათი და ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებს მაიმუნი.
8. მოიგებს ის, ვინც პირველი შეავსებს მწკრივს, სვეტს ან დიაგონალს 3 ბანანით.

### მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ზმნის იდენტიფიცირებას წინადადების შუაში; მაგალითად: მაიმუნი ქრის სენდვიჩს.

### ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ახლა, მეორე დონეზე მყოფი ბავშვისთვის უკვე ადვილი უნდა იყოს წინადადების ბოლოს არსებული საგნის გაგება, ამიტომ მას შეეძლება ბოლო სიტყვის ამოცნობა და გამეორება. სენდვიჩი. გამოყავით ზმნა, ანუ წარმოთქვით იგი ოდნავ ხმამაღლა და ნელა, ხოლო წარმოთქმის შემდეგ სულ რამდენიმე წამით გააკეთეთ პაუზა. კი, მაიმუნი ქრის...სენდვიჩს.

სმენითი სენდვიჩი: თუ ბავშვს უჭირს შესატყვისი სურათის პოვნა მარტო მოსმენის საშუალებით, შესთავაზეთ სწრაფად გადახედოს სათამაშო ბარათს და შემდეგ კვლავ გაიმეორეთ წინადადება, სანამ ბავშვი მას არ იპოვის. ასევე, შეგიძლიათ შეხედოთ ბავშვის ბინგოს გვერდს, გააჩეროთ მზერა სწორ სურათზე და კვლავ გაიმეოროთ წინადადება. ეს არის სმენითი სენდვიჩის გამოყენების კიდევ ერთი გზა. აა, ვხედავ. შენ გყავს მაიმუნი, რომელიც ქრის სენდვიჩს.

### მოსალოდნელი შედეგები

- სიტყვების კომბინაცია
  - მაიმუნი + ზმნა; მაგალითად: მაიმუნი კითხულობს.
  - ობიექტი + ზმნა; მაგალითად: წიგნის კითხვა.
  - მაიმუნი + ზმნა + ობიექტი; მაგალითად: მაიმუნი კითხულობს წიგნს.
- დამხმარე ზმნა: არის.

### ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: როდესაც დგება ბავშვის მიერ ბარათის აღების ჯერი, მიაწოდეთ მას ვარიანტებიანი სალაპარაკო ენის მოდელი, რათა შეძლოს მარტივად დაკოპირება. ჰმ. მე მგონი მაიმუნი რაღაცას სვამს. არ ვარ დარწმუნებული რას. რისი თქმა გინდა, აბა? მაიმუნი სვამს წყალს თუ სვამს რძეს?

გავრცობა და განგრძობა: განავრცეთ ბავშვის მიერ ნათქვამი, რათა გამოყოთ გრამატიკული მარკერები. მაიმუნირაღაცას სვამს, ან გააგრძელეთ მისი ნათქვამი, რათა ხაზი გაუსვათ იმ დამატებით ინფორმაციას, რომელსაც ბავშვი შემდეგში შეეცდება თქვას. კი, მე მგონი მაიმუნი სვამს რძეს.

### მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს რეალურზე და არარეალურზე.

### ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: გაერთეთ ბავშვთან ერთად ამ სასაცილო მაიმუნებით სურათებით და გააფართოვეთ მისი ცოდნა მაიმუნების შესახებ. ესაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებენ ნამდვილი მაიმუნები. ეს ნახე რა სასაცილოა. მაიმუნს საწოლში სძინავს. ნამდვილ მაიმუნებს საწოლში არ სძინავთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

# 2. მაიმუნი ბინგო

## მომზადება

თითოეული მოთამაშისთვის ამობეჭდეთ ბანანები, მთავარი სათამაშო გვერდი (გვერდი 5) და ერთ-ერთი დ3 ა2 მაიმუნი ბინგოს გვერდი პატარა ბარათზე. ამოჭერით ბანანის ბარათები.

### რესურსები

- მაიმუნები დ3 ა2
- მაიმუნები დ2 დ3 ა2 ბანანები

თქვენ ერთად უნდა ითამაშოთ ბინგოს თამაში.

